



საქართველოს  
სახალხო დამცველი  
PUBLIC DEFENDER  
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-4/11654

21/11/2022

11654-15-4-2-202211211100



საქართველოს გენერალურ პროკურორს  
ბატონი ირაკლი შოთაძეს

### წინადადება

მოქალაქე [REDACTED] მიმოსვლის თავისუფლების დარღვევის შესაძლო ფაქტზე  
გამოძიების დაწყების თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული  
შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის  
შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.<sup>1</sup>

ბატონო ირაკლი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მიმართა ადვოკატმა [REDACTED]  
[REDACTED] რომელიც მიუთითებს, რომ მოქალაქე [REDACTED] (3/ნ: [REDACTED])  
და [REDACTED] (3/ნ: [REDACTED]) არ მიეცათ საქართველოს საზღვრის გადაკვეთისა და  
საზღვარგარეთ გამგზავრების საშუალება.

### ფაქტობრივი გარემოებები

ადვოკატის განცხადების თანახმად, 2022 წლის 18 და 24 ივნისს სასაზღვრო გამშვები  
პუნქტი „სარფი“-ს გავლით [REDACTED] (3/ნ [REDACTED]) მიემგზავრებოდა თურქეთის  
რესპუბლიკაში, თუმცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგნელების

<sup>1</sup> წინადადება მომზადებულია განმცხადებლის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გენერალური  
პროკურორის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის წარმოდგენილი ინფორმაციის  
საფუძველზე.

მიერ მას უარი ეთქვა სახელმწიფო საზღვრის კვეთაზე. სამართალდამცავი პირების მიერ [REDACTED] არ მიუღია რაიმე ინფორმაცია საქართველოდან გასვლის უფლების შეზღუდვის წინაპირობებთან დაკავშირებით.

საკითხის შესწავლის მიზნით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატშა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა და გამოითხოვა ახსნა-განმარტება [REDACTED] საქართველოდან გასვლაზე უარის თქმის სამართლებრივ საფუძვლებთან დაკავშირებით.<sup>2</sup> სამინისტროს საპასუხო წერილით სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 25 ივნისის №10დ/3456-22 განჩინების საფუძველზე, მოქალაქე - [REDACTED] (პ/ნ 01024086831) პროცესურორის ან გამომმიებლის ნებართვის გარეშე, აკვრძალა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა.<sup>3</sup>

გარდა ზემოაღნიშნულისა, ადვოკატ [REDACTED] განცხადების თანახმად, 2022 წლის 30 ივნისს, დაახლოებით, ღამის სამ საათზე, [REDACTED] მცირეწლოვან [REDACTED] ერთად, გააჩერეს საკონტროლო გამშვებ პუნქტზე „თბილისის აეროპორტი“ და არ მისცეს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის უფლება.

განცხადების თანახმად, [REDACTED] შემენილი პქნონდა ბილეთები და მიიღო მატერიალური ზარალი. მოქალაქეს არანაირი მიზეზი არ განუმარტეს, ჩამოართვეს ბილეთები, სხვა დოკუმენტები და გამოაძევეს საკონტროლო ზონიდან.

ადვოკატის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილიდან<sup>4</sup> ირკვევა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ, მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მოქალაქე - [REDACTED] საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთაზე (შემოსვლა/გასვლა) შეზღუდვა, რაიმე სამართლებრივი საფუძვლით, 2022 წლის 5 ივნისის მდგომარეობით არ ფიქსირდება.

ამასთან, [REDACTED] ბრალდება 2022 წლის 25 ივნისს, საქართველოს სისხლის სამართლოს კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარედგინა. ხოლო [REDACTED] ზემოხსენებულ საქმეზე ბრალდება მხოლოდ 2022 წლის 31 ოქტომბერს წარედგინა.<sup>5</sup>

აღსანიშნავია, რომ ადვოკატის მიერ სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილია შემენილი ავიაბილეთების დამადასტურებელი დოკუმენტებიც, ისევე, როგორც [REDACTED] გადაადგილების ამსახველი ტრაფიკის მონაცემები და მასთან დაკავშირებული შუამდგომლობისა და განჩინების ასლები, რომლებიც, როგორც ადვოკატი განმარტავს, წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმის მასალებს. ადვოკატის გადმოცემით,

<sup>2</sup> საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 20 ივნისის №04-4/7446 წერილი.

<sup>3</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 27 ივნისის №MIA 02202071713 წერილი.

<sup>4</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 6 ივნისის MIA 6 22 01843335 წერილი.

<sup>5</sup> [REDACTED] 2022 წლის ნოემბრის განცხადებები.

პროცესუატურაში მტკიცებულებათა წუსხა დაცვის მხარეს 2022 წლის 25 ოქტომბერს გადასცა.

ადვოკატი მიუთითებს, რომ [REDACTED] და [REDACTED] გახდნენ მესაზღვრეების და სისხლის სამართლის N007190422009 საქმეზე გამომძიებლის [REDACTED] ან/და პროცესურორის ([REDACTED]) თვითნებობის მსხვერპლი. ადვოკატმა აღნიშნული ინფორმაციით მიმართა საქართველოს გენერალურ პროცესუატურას, რასაც რეაგირება არ მოჰყოლია. [REDACTED] განცხადებებზე განხორციელებული რეაგირების შესახებ პროცესუატურას გამოძიების დაწყების საკითხზე არ მიუთითებია.<sup>6</sup>

### სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს იმ პირების საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლებას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე.<sup>7</sup> ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.<sup>8</sup>

საქართველოს მოქალაქის საქართველოდან გასვლის უფლებას ასევე აღიარებს საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“, რომლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეს აქვს საქართველოდან დროებით გასვლის უფლება და ეს უფლება არ შეიძლება შეიზღუდოს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.<sup>9</sup>

ამავე კანონის თანახმად, მოქალაქეს შეიძლება უარი ეთქვას საქართველოდან დროებით გასვლაზე ან საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთაზე, თუ იგი იძებნება სამართალდამცავი ორგანოების მიერ ან წარადგენს ყალბ ან ძალის არმქონე საბუთს.<sup>10</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, პირის მიმართ მებნის შესახებ დადგენილება შეიძლება გამოიტანოს პროცესურორმა ამ პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდეგ.<sup>11</sup> ამავე კანონის თანახმად, პირის მიმართ შესაძლებელია გამოყენებული იქნეს საქართველოს მოქალაქის პასპორტის/ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერება მხოლოდ მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდეგ,<sup>12</sup> პროცესურორის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს მიერ მიღებული განჩინებით.<sup>13</sup> კოდექსი

<sup>6</sup> საქართველოს გენერალური პროცესუატურის 2022 წლის 25 აგვისტოს №13/53886 წერილი.

<sup>7</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 14, პუნქტი.1.

<sup>8</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხ.14, პუნქტ. 2.

<sup>9</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“, მუხ.3., პუნქტ. 1 და 2.

<sup>10</sup> საქართველოს კანონის „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“, მუხ.10, პუნქტ. 1.

<sup>11</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ.33, ნაწ.6, ქვეპუნქტ. „ო“.

<sup>12</sup> იქვე, მუხ. 163.

<sup>13</sup> იქვე, მუხ. 164.

ასევე დასაშვებად მიიჩნევს აღვეთის ღონისძიებასთან ერთად დამატებითი ვალდებულების, მათ შორის საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის შეზღუდვის გამოყენებას.<sup>14</sup>

სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულად აცხადებს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით საქართველოში კანონიერად მყოფი პირისთვის საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლების განხორციელებაში უკანონოდ ხელის შეშლას.<sup>15</sup>

ამრიგად, წინამდებარე ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, გაურკვეველია, თუ რა სამართლებრივი საფუძვლით მოხდა 2022 წლის 18 და 24 ივნისს [REDACTED] და 30 ივნისს მოქალაქე [REDACTED] საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის შეზღუდვა და ვინ წარმოადგენდა გადაწყვეტილების მიმღებ პირს. აღნიშნული საკითხების შეფასების მიზნით, აუცილებელია გამომიების დაწყება და შესაბამისი საგამომიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარება.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოს გენერალური პროკურორის 2019 წლის 23 აგვისტოს N3 ბრძანებით დამტკიცებული „სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო და ტერიტორიული საგამომიებო ქვემდებარეობის“ თანახმად, „სისხლის სამართლის საქმე განეცუთვნება შინაგან საქმეთა ორგანოების გამომდიებლის საგამომიებო ქვემდებარეობას, თუ ამ ბრძანებით სხვა რამ არ არის დადგენილი“.<sup>16</sup> ამავე ბრძანების თანახმად, „პროკურატურის გამომდიებლის საგამომიებო ქვემდებარეობას განეცუთვნება საქმეები პოლიციელის მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე“.<sup>17</sup>

## დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იკვეთება, რომ 2022 წლის 18 და 24 ივნისს [REDACTED], ხოლო 30 ივნისს მოქალაქე [REDACTED], სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, სავარაუდოდ არ მისცეს შესაძლებლობა, გადაეკვეთათ საქართველოს სახელმწიფო საზღვარი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლოა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ ადგილი ჰქონდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას.

შესაბამისად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოგმართავთ წინადადებით, დაიწყოთ გამომიება, მოქალაქეების [REDACTED] და [REDACTED] მიმოსვლის თავისუფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე მუხლის

<sup>14</sup> იქვე, მუხ. 199, ნაწ. 2.

<sup>15</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 152.

<sup>16</sup> 2019 წლის 23 აგვისტოს საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანება N3, დანართი, პუნქტ. 1.

<sup>17</sup> 2019 წლის 23 აგვისტოს საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანება N3, დანართი, პუნქტ. 2

მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. ამასთან, ვინაიდან აღნიშნული დანაშაული შესაძლოა ჩადენილი იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონკრეტული თანამშრომლის/თანამშრომლების მიერ, გამოძიება დაუქვემდებაროთ პროცესურატურის გამომძიებელს.

გთხოვთ, განხორციელებული რეაგირების შესახებ მაცნობოთ ამავე კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

დანართის სახით გიგზავნით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელთ არსებული მასალების ასლებს.

დანართი: 15 (თხუთმეტი) ფურცელი და ტრაფიკის მონაცემები.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

5-  


სახალხო დამცველი